პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

სამშაბათი, 15 ოქტომბერი 1935 წ. № 240 (4396)

დღეს ნომერში

— მეტი ყურადღება კომუნიზმის პროპაგანდას (მოწინავე).
— სანქციების მცირე კომიტეტის სხდომა.
— კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის მსოფლიო კონგრესი.
— „ტყიბული უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგებში".
— ამხ. ლიტვინოვი ჩავიდა ჟენევაში.
— იტალია - აბისინიის ომი.
— იტალიელები ძლიერ დაზარალდნენ.
— ალ. ფანჩულიძე — ჩხარი წინათ და ახლა.
— ბ. ადამაძე — საფუძვლიანად შევისწავლოთ ამხ. ბერიას მოხსენებას.
— საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

მეტი ყურადღება კომუნიზმის პროპაგანდას

ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენების „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციათა ისტორიის საკითხისათვის" შესწავლა დასასრულს უახლოვდება. უკვე სამი თვეა, რაც განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობენ პარტიული მასები ბოლშევიზმის ისტორიის ამ უძვირფასეს განძს. მას სწავლობენ არა მარტო პარტიული მასები, არამედ უპარტიო მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა მოსამსახურეები, მოზარდი ახალგაზრდობა. მას სწავლობენ არა მარტო საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უაღრესად დიდი აქტიობა გამოიჩინეს ამ მოხსენების შესწავლაში, რამაც უზრუნველჰყო მისი შეთვისების შედარებით მაღალი ხარისხი.

ამხ. ბერიას მოხსენების საფუძვლიანი შესწავლა უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდა და აკისრებს პარტორგანიზაციებს, პარტიის ყველა წევრსა და კანდიდატს. მაგრამ მთელმა რიგმა პარტორგანიზაციებმა ეს პასუხისმგებლობა ვერ შეიგნეს.

ჯერ კიდევ პირველი ორი მეცადინეობის შეჯამების შედეგად საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტმა 27 აგვისტოს დადგენილებაში მიგვითითა სერიოზულ დეფექტებზე, რომლებიც აღმოჩენილი იქნენ ტფილისის პარტგანათლების ქსელში ამხ. ბერიას მოხსენების დამუშავების დროს. დადგენილებაში ჩამოთვლილი დეფექტები უეჭველად დამახასიათებელი იყო და არის საქართველოს ბევრი რაიონული პარტორგანიზაციისათვისაც და იძლევა სიგნალს მათი გამოსწორებისათვის.

ზემდგომი პარტორგანოების სიგნალს ზოგიერთი რაიონის პარტორგანიზაციები აქტიურად არ ეხმაურებიან, თითქოს ის მათთვის სავალდებულო არ იყოს. აბა რით უნდა ავხსნათ, თუ არა ამ გარემოებით, პარტგანათლებისა და კერძოთ ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ყვარელის რაიონში? აქ არ დაამუშავეს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება „უახლოეს დროში პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ", სადაც პარტგანათლების ყველა საკითხზე და განსაკუთრებით შეთვისების ხარისხის აწევისა და სეზონურობის ლიკვიდაციის საკითხზე მოცემული იყო ამომწურავი მითითებანი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა 27 სექტემბრის დადგენილებაში პარტსწავლების მდგომარეობისა და ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლის მიმდინარეობის შესახებ ყვარელის რაიონში მიუთითა რაიკომს, გააფრთხილა რაიკომის მდივნის მოადგილე, „რომ უშუალოდ ის აგებს პასუხს პარტსწავლების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისათვის". ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ხცნო აგრეთვე, რომ „პარტიული განათლების მთელ ქსელში ხელმეორედ შეუდგნენ ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლას".

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ყვარელის რაიონში პარტსწავლების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ სიგნალი უნდა გახდეს სხვა რაიონული პარტორგანიზაციებისათვის, სადაც ჯერ კიდევ სერიოზული დეფექტია პარტსწავლების საქმეში: ბორჩალოში პარტგანათლების ლაბორატორია - პარტკაბინეტი უმოქმედობას იჩენს, ტყიბულში პროპაგანდისტებს დროზე არ აძლევენ ხელფასს; გორში 11 აგვისტოს პროპსემინარს 43 პროპაგანდისტის ნაცვლად 19 დაესწრო; ჭიათურაში — ზოგიერთი პროპაგანდისტი მოუმზადებლად დაიარება პოლიტსკოლაში, გურჯაანში ზოგი პარტორგი და პროპაგანდისტი შეუფასებლობას იჩენენ პარტგანათლებისადმი; ასეთივე მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა რაიონშიც.

მარტო ამ დეფექტებით არ ამოიწურება ყველაფერი. ბევრი რაიონისათვის ჯერ კიდევ დამახასიათებელია პოლიტმეცადინეობის ხშირი ჩაშლა, დასწრების დაბალი დონე, სასწავლო მოწყობილობათა უქონლობა, მსმენელების წინასწარი მოუმზადებლობა, სეზონურობის ელემენტები, პროპსემინარების არასაკმაო მუშაობა და აქედან გამომდინარე შეთვისების დაბალი ხარისხი.

პარტდოკუმენტების შემოწმებამ გამოამჟღავნა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური მომზადების დაბალი დონე და გადაჭრით დააყენა ამ მდგომარეობის შეცვლის ამოცანა. მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ შეთვისების ხარისხს. პროპსემინარებისა და პარტგანათლების მთელი ქსელის მუშაობა სწორედ ამ გზით უნდა წარვმართოთ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პროპსემინარების მუშაობა ჯერ-ჯერობით ვერ უპასუხებს პარტგანათლების წინაშე მდგარ ამოცანებს. საჭიროა მათი მუშაობის ფორმისა და შინაარსის გარდაქმნა. სემინარის ხელმძღვანელი ხშირად მხოლოდ თემის შინაარსის გადაცემით კმაყოფილდება და გვერდს უვლის მეთოდიკის საკითხებს. ახალგაზრდა პროპაგანდისტებს კი განსაკუთრებით მეთოდიკური ჩვევების ათვისება სჭირდებათ. პირველ რიგში სწორედ ამ მხრივ უნდა გავუწიოთ მათ დახმარება.

ჩვენ შევვიძლიან და კიდევაც უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პროპსემინარები გავხადოთ პროპაგანდისტების აღზრდის ბოლშევიკურ სკოლად.

პროპაგანდისტული ხელოვნების დაუფლება უბრალო საქმე არაა. მას სჭირდება განსაკუთრებული ენერგიით მუშაობა თავის თავზე. კომუნიზმის უდიდესმა პროპაგანდისტებმა ლენინმა და სტალინმა ჩვენ მოგვცეს კომუნიზმის პროპაგანდისტის უბადლო ნიმუშები. ჩვენი პროპაგანდისტები, როგორც აღნიშნავს „პრავდა", ისე უნდა დაეუფლონ პროპაგანდისტულ ხელოვნებას, რომ „ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღონ ყოველგვარ სქოლასტიკას, ასწავლონ ისე, რომ მსმენელი იდეურად ყოველთვის შეიარაღებული იყოს".

ბოლო თუ არ მოვუღეთ ყოველგვარ სქოლასტიკას პარტიულ სწავლებაში, ისე ვერ უზრუნველვყოფთ პარტგანათლების მაღალ ხარისხს. ამიტომ არის, რომ პროპაგანდისტის, პარტსწავლების ამ ცენტრალურ ფიგურის, შერჩევას ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. მაგრამ ყველგან როდი იცავენ პროპაგანდისტების შერჩევის წესს. „როგორც წესი — სამართლიანად შენიშნავს ამხ. სტეცკი — პროპაგანდისტების წამოყენება ხდება პარტაპარატის დამხმარე რგოლების საშუალებით. პროპაგანდისტს არჩევს არა პარტკომის მდივანი და კულტპროპის გამგე, არამედ პარტკაბინეტის გამგე და საამქროს პარტორგი".

არასაკმაო გულდასმით შერჩეულ პროპაგანდისტებს არც შემდეგ უწევენ დახმარებას პარტკომის მდივნები და პარტორგები, რის გამო პროპაგანდისტები ყველგან საჭირო სიმაღლეზე არ დგანან. უფრო მეტი. ზოგჯერ ისინი სრულიად შეუფერებელი არიან პროპაგანდისტული მუშაობისათვის. პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელები ხშირად ვერ ამჩნევენ ამას.

წელს საზაფხულო პარტგანათლების ქსელი ფართოდ გაიშალა. მან გვიჩვენა პარტიული მასების პოლიტიკური აქტიობის მაღალი დონე ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის შესწავლის საქმეში. ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. საშემოდგომო პარტგანათლების ქსელი უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ და მისი მუშაობა უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ. ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ აღმოფხვრილი იქნება ყველა აქამდე შემჩნეული დეფექტი პარტიული განათლების საქმეში.

ეს უდაოა; „დაუდევრობა იდეური აღზრდისადმი, თეორიისადმი დამოკიდებულებაში ყოველთვის უცხო იყო ბოლშევიზმისათვის". იდეური აღზრდისადმი დაუდევრობის ყოველგვარ გამოვლინებას დაუზოგავი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

გეგმები შევასრულეთ

საქ. კ. პ (ბ) ცეკას ამხ. ბერიას
ასლი გაზ. „კომუნისტის" რედაქციას

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური დახმარებისა და თქვენი მითითებათა განუხრელად გატარების შედეგად, საკოლმეურნეო სტალინური წესდების გატარების საფუძველზე, მიუხედავად განსაკუთრებით არახელსაყრელი კლიმატიური პირობებისა ჩვენს რაიონში, წალენჯიხის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ, საბჭოების, კომკავშირული, საბჭოთა მეურნეობის და საკოლმეურნეო ორგანიზაციების მჭიდროდ დარაზმვითა და მათი ენერგიული მუშაობით, შესძლო ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის ვადაზე ადრე — 12 ოქტომბრისათვის — შესრულება!

გეგმის მიხედვით, წალენჯიხის რაიონს, საბჭოთა მეურნეობის ჩათვლით, უნდა მოეკრიფა 347.347 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ფაქტიურად მოკრეფილია და ფაბრიკისათვის ჩაბარებულია 348.000 კილოგრამი, სამჯერ მეტი გასულ წელს ფაქტიურად მოკრეფილი ფოთლის რაოდენობისა (116.000 კილოგრამი).

წარმატებით შევასრულეთ აგრეთვე ხორცისა და რძის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმაც.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სიტყვას აძლევენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და პირადად შენ ა.-კ. ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს, რომ ყოველ მიზეზს გარეშე უზრუნველყოფენ ჩაისათვის ახალი ნიადაგების მომზადების გეგმის შესრულებას, დაუღალავად იბრძოლებენ ჩაის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და ჩაის ფრონტზე საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

საქ. კ. პ (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი— მ. ბარამია.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე—ა. გოგუა.

საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის პლენუმი

ბათუმი, 14 ოქტომბერი. 13 ოქტომბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის მორიგი პლენუმი, რომელსაც ესწრებოდნენ პარტკომების მდივნები და პირველადი პარტორგანიზაციების პარტორგები. პლენუმმა მოისმინა საქ. კ.პ. (ბ) აჭაროლქკომის მდივნის ამხ. გიურქოვის მოხსენება აჭარისტანის პარტორგანიზაციის პარტიული დოკუმენტების შემოწმების შედეგების შესახებ.

ამხ. გიურქოვის მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: ამხ. ივანიხოვი („სოიუზნეფტესბიტ"), სიხარულიძე (ხულოს რაიონი), წულუკიძე (ათონ... ლითიანი (ბათუმის ნავთის გადამამუშავებელი ქარხანა), სარქისოვი („სოიუზნეფტესბიტ"), მონთიძე (ქალაქის ბინათკავშირის პარტორგი), თოფლაშვილი (პარტიის საოლქო კომიტეტი), ბუჯიაშვილი (ხულოს რაიკომის მდივანი).

პლენუმმა დაამტკიცა პარტიული დოკუმენტების შემოწმების შედეგები. პლენუმმა საოლქო კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან გამოიყვანა გიორგაძე, ხოლო საოლქო კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან—დევაძე, რომლებიც პარტიული დოკუმენტების შემოწმების დროს გარიცხულ იქნენ

იტალია-აბისინიის ომი

იტალიელები ძლიერ დაზარალდნენ

ლონდონი, 12 ოქტომბერი. ექსჩეინჯ ტელეგრაფის სააგენტო ჯიბუტიდან იუწყება, რომ, აბისინიის კონსულის განცხადებით, აბისინიის ჯარებმა 9 ოქტომბერს ღამით ფლანგიდან შემოუარეს ადუას, უეცრად დაესხნენ თავს იტალიელებს და დიდი ზარალი მიაყენეს. (ადს).

მზადება დიდი ბრძოლისათვის

ლონდონი, 12 ოქტომბერი. აბისინიიდან იუწყებიან, რომ ორივე მხარე დიდი ბრძოლისათვის ემზადება ოგადენის პროვინციაში. აბისინიის ჯარების მთავარსარდალი სამხრეთ ფრონტზე ნასიბუ ხარარიდან ოპერაციების ზონაში გაემგზავრა. (ადს).

იტალიელთა ფერადკანიანი ნაწილები აბისინელების მხარეზე გადადიან

ლონდონი, 12 ოქტომბერი. „მორნინგ პოსტის" ადის-აბებელი კორესპონდენტი იუწყება, რომ პარტიზანებსა და იტალიის თეთრკანიან ჯარებს შორის 48 საათიანი ბრძოლა მოხდა. იტალიის ჯარის ეს ნაწილები სასწრაფოდ გაიგზავნენ ერიტრეიდან ქალაქ ადიგრატის მიდამოებში, რათა შეეცვალათ ფერადკანიანი ჯარები, რომლებიც ასობით გადადიან აბისინელთა მხარეზე. (ადს).

აბისინიის კამპანიის სიძნელეები იტალიელთათვის

პარიზი, 11 ოქტომბერი. „დღეს დილას, — იუწყება „ევრის" ჟენეველი კორესპონდენტი, — სახელმწიფოთა დელეგატებმა მიიღეს თავისი სამხედრო წრეებისგან აბისინიის კამპანიის შეფასება. ამ შეფასების რეზიუმე ასეთია:

„კამპანია იტალიელთათვის უდიდეს სიძნელეებს წარმოადგენს. ეს სიძნელენი, რომელთაც ომის დაწყებიდან მხოლოდ 3—4 თვის შემდეგ უნდა ეჩინათ თავი, უკვე კამპანიის დასაწყისშივე გამომჟღავნდნენ. თუ როგორი იქნება ომის შედეგები, ამაზე ჯერ არაფერი ითქმის. იტალიის არტილერიას მხოლოდ დიდ გზებზე შეუძლია მოქმედება. ხელჩართულ ბრძოლებში აბისინელთა უპირატესობა უდავოა". (ადს).

აბისინიის არმია კონტრ-შეტევისათვის ემზადება

ბერლინი, 12 ოქტომბერი. როგორც საინფორმაციო ბიურო ადის-აბებიდან იტყობინება, რას სეი იუმის, კასას და რუხის ნაწილები ერთმანეთს შეუერთდნენ. ეს არმია, რომელშიაც 100 ათასი მეომარი ითვლება, კონტრ-შეტევისათვის ემზადება. იტალიის სარდლობა შეტევას ამზადებს სამხრეთიდან ახლა ბარეს პუნქტისაკენ (მდინარე ვებეზი შებელიზე). (ადს).

ნეგუსის სიძე ხაილე სელასიე იტალიელებს მიემხრო

ლონდონი, 13 ოქტომბერი. სამხედრო ექსპერტების აზრით, ახლა აბისინიის ყველა ფრონტზე სიწყნარეა. კორესპონდენტები ადასტურებენ, რომ ნეგუსის სიძე გენერალი ხაილე სელასიე იტალიელებს მიემხრო, მაგრამ ამავე დროს იუწყებიან, ხაილე სელასიე იტალიელებთან თავისი ერთგული რამდენიმე კაცით გადავიდა და არა 12 ათასი ჯარით, როგორც იტალიის სარდლობა აცხადებსო. (ადს).

ამხ. ლიტვინოვი ჩავიდა ჟენევაში

ჟენევა, 13 ოქტომბერი. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი დღეს ჟენევას ჩამოვიდა. (ადს).

მიმართვა აბისინიის ხალხს

ლონდონი, 12 ოქტომბერი. დღეს გაიმართა დიდი დემონსტრაცია აბისინიის დასაცავად. დემონსტრაცია მოაწყო კომპარტიის ლონდონის ორგანიზაციამ და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლიგამ. დემონსტრანტები აბისინიის საელჩოსთან შეჩერდნენ. საელჩოში დეპუტაცია გაიგზავნა. დეპუტაცია დაბრუნდა აბისინიის ელჩისა და მის ვაჟთან ერთად, რომლებსაც „ვაშა" ძახილით შეხვდნენ. კომპარტიის წარმომადგენელმა წაიკითხა მიმართვა ლონდონის მუშების სახელით. მიმართვაში ნათქვამია:

„თქვენ იცავთ აბისინიას ფაშისტ მტრის ყაჩაღური თავდასხმისაგან; ამ მტრისათვის პატივიც უცხოა და ადამიანური გრძნობაც. დარწმუნებული ვართ, გამარჯვება თქვენი იქნება. თქვენ ერთხელ უკვე დაამარცხეთ იტალიელი იმპერიალისტები. თქვენ ამას კიდევ შესძლებთ, ვინაიდან ამჟამად უფრო მეტ რამისათვის იბრძვით, ვიდრე აბისინიის მთებია. თქვენი ბრძოლა დამოუკიდებლობის სიმბოლოა აფრიკისა და აღმოსავლეთის მილიონობით მკვიდრი ხალხებისათვის. თქვენი ბრძოლა ევროპის მუშათა კლასისა და თავისუფლების მომხრეთა ბრძოლაა. საბერძნეთის მეზღვაურნი და კეპტაუნის, საფრანგეთისა და კარდიფის დოკერები უკვე გამოვიდნენ თქვენს დასაცავად. დღითიდღე იზრდება სოლიდარობის მოძრაობა. მალე იგი გადაიქცევა მძლავრ ქარიშხლად, რომელიც აღგვის ფაშიზმს".

მიმართვას ხელს აწერენ მუშათა მოძრაობის მთელი რიგი მოღვაწენი. საპასუხო სიტყვაში აბისინიის ელჩმა მადლობა გადაიხადა მის ქვეყნისადმი „რეალური სიმპატიისათვის" და განაცხადა:

„ინგლისელი მუშების და ყველა სხვა ინგლისელის თანაგრძნობა ჩვენთვის დიდ მორალურ დახმარებას წარმოადგენს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაშიო".

დასასრულ, დემონსტრანტებმა აღფრთოვანებით შეასრულეს „ინტერნაციონალი" და სამჯერ შესძახეს „ვაშა" მებრძოლი აბისინელი ხალხის პატივსაცემად. (ადს).

ინგლისელი დოკერები უარს ამბობენ იტალიის გემების დატვირთვაზე

ლონდონი, 11 ოქტომბერი. ლონდონის პროფკავშირთა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც პროფკავშირთა სრულიად - ინგლისის კონგრესს წინადადება ეძლევა გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა, რათა ხელი შეუშალოს იტალიაში ნედლეულისა და სურსათის გაგზავნას. რეზოლუცია მოითხოვს აგრეთვე, რომ ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებმა ჟენევაში გადაჭრით მოითხოვონ სანქციების რაც შეიძლება ფართოდ გამოყენება ომის შესაწყვეტად.

გუშინწინ ლონდონის დოკერებმა უარი სთქვეს იტალიის გემ „ბოკაჩიოს" დატვირთვაზე. გემი იძულებული გახდა სხვა ნავთსადგურში წასულიყო.

მანჩესტერში დოკერებმა მოაწყეს მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია იტალიის გემების დატვირთვის წინააღმდეგ. დემონსტრაციამ ისე ფართო ხასიათი მიიღო, რომ ნავთსადგურში პოლიცია გაიწვიეს. იტალიის ყველა გემზე დაყენებულია პოლიციის სპეციალური საგუშაგოები.

„დეილი უორკერი" აქვეყნებს იტალიის ყველა იმ გემთა სიას, რომლებიც ლონდონის ნავთსადგურში დგანან და დატვირთვას ელიან.

იტალიის სატრანსპორტო გემ „ლიგურიის" მეზღვაურებმა გენუიდან გასვლის წინ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გამართეს. გემის გაგზავნა 48 საათს შეფერხდა.

ყოველი მხრიდან მოდის ცნობები რომ მოსახლეობა მოითხოვს სანქციების დაუყოვნებლივ გამოყენებას, იტალიის გემების დატვირთვის შეწყვეტას, ომის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მეორე და მესამე ინტერნაციონალების მოქმედების ერთიანობას. (ადს).

„პრავდა" გერმანიაში აკრძალეს

ბერლინი, 13 ოქტომბერი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით „სახელმწიფოს დაცვის" კანონის მიხედვით გერმანიაში განუსაზღვრელი ვადით აკრძალულია გაზეთ „პრავდის" გავრცელება.

შინაგანი მდგომარეობა იტალიაში

პარიზი, 12 ოქტომბერი. „ევრი" იუწყება, რომ იტალიის შინაგანი მდგომარეობა მეტად მერყევია. გაზეთი აღნიშნავს, იტალიის მთავრობის წრეებში უთანხმოებააო. ამასთან გაზეთი იუწყება, რომ მუსოლინისთან უთანხმოების გამო დაითხოვეს გენერალი ვალე და ადმირალი დური. „ყოველივე ეს, — სწერს გაზეთი, — ჟენევაში დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში იტალიაში პოლიტიკური შერყევა ახლა უფრო შესაძლოდ მიაჩნიათ, ვიდრე ოდესმე. (ადს).

საფრანგეთის ფაშისტური ორგანიზაციები სანქციების გამოყენების წინააღმდეგ

პარიზი, 12 ოქტომბერი. მთელი რიგი მემარჯვენე ჯგუფები და აშკარად ფაშისტური ორგანიზაციები იწყებენ კამპანიას სანქციების გამოყენების წინააღმდეგ. კამპანია გაშლილია პაციფიზმის და საფრანგეთის პოლიტიკის დამოუკიდებლობის ლოზუნგით. უკიდურესი მემარჯვენე დეპუტატები ლავალისათვის გაგზავნილ წერილში მოითხოვენ, რომ სანქციები არ იქნეს გამოყენებული. (ადს).

ბეკი ბერლინში

ვარშავა, 12 ოქტომბერი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ ჟენევიდან ვარშავაში მომავალი ბეკი ბერლინში შეჩერდა. იუწყებიან, რომ ბეკი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ნეირატთან საუბარში გაეცნო გერმანიის თვალსაზრისს აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე. (ადს).

პოლონეთის ახალი კაბინეტი

ვარშავა, 13 ოქტომბერი. დღეს პრეზიდენტმა პრემიერად დანიშნა შინაგან საქმეთა მინისტრი კოსციალკოვსკი. იმავე დროს, კოსციალკოვსკის წინადადებით, პრეზიდენტმა „პრემიერის თანაშემწედ სამეურნეო დარგში" დანიშნა კვიატკოვსკი, შინაგან საქმეთა მინისტრად — კრაკოვის ვოევოდა რაჩკევიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრად—ბეკი, სამხედრო მინისტრად — გენერალი კასპრჟიცკი, იუსტიციის მინისტრად — მიხალოვსკი, განათლების სამინისტროს ხელმძღვანელად — ხილინსკი, სოფლის მეურნეობის მინისტრად — პონიატოვსკი, ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრად — გენერალი გურეცკი, გზათა მინისტრად—ბუტკევიჩი, სოციალური უზრუნველყოფისა — ვილნოს ვოევოდა იაშჩოლტი, ფოსტა - ტელეგრაფისა — კალინსკი. დღის პრეზიდენტთან ახალმა მინისტრებმა ფიცი მიიღეს. (ადს).

სანქციების მცირე კომიტეტის სხდომა

ჟენევა, 12 ოქტომბერი. შესდგა სანქციების მცირე კომიტეტის სხდომა. სხდომაზე დისკუსია გაიმართა ეკონომიური სანქციების პრობლემის ირგვლივ. იდენი წინადადებას იძლეოდა დაუყოვნებლივ აკრძალულიყო იტალიის იმპორტი სხვა ქვეყნებში. საფრანგეთის დელეგატმა კულონდრმა აღნიშნა საკითხის სირთულე და წამოაყენა წინადადება, რომ ეს საკითხი შესასწავლად გადაეცეს სპეციალურ კომიტეტს.

ტიტულესკუ ამაოდ ცდილობდა შეერიგებინა ეს ორი თვალსაზრისი, მან განაცხადა, ზოგიერთი ქვეყანა ეკონომიური სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით ძალიან დაზარალდებაო. მისი სიტყვით, რუმინეთი შეუერთდება ყოველ გადაწყვეტილებას, რომელიც ამ დანაკლისისათვის კომპენსაციებს გაითვალისწინებსო.

საბჭოთა დელეგატმა პოტიომკინმა ხაზგასმით აღნიშნა სანქციები საგრძნობი და მტკიცე უნდა იყოს და საყოველთაო ხასიათს ატარებდესო. თუ სანქციები საყოველთაო ხასიათისა არ იქნება, ისინი არ შეიძლება არც მტკიცე იყოს და არც ეფექტიური. პოტიომკინმა დასვა აგრეთვე ზოგიერთი იმ ქვეყნის საკითხი, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ სანქციებში და უარს აცხადებენ მათ გამოყენებაზე პოტიომკინმა აღნიშნა, სასურველია მივმართოთ ამერიკის მთავრობას და მოვუწოდოთ გაავრცელოს ემბარგო ზოგიერთ სხვა საგანზედაც, რუზველტის სიით გათვალისწინებულს გარდა.

რაც შეეხება იმ ქვეყნებს, რომლებმაც უარი განაცხადეს სანქციებში მონაწილეობაზე (მხედველობაში მიღებულია ავსტრია, უნგრეთი და ალბანეთი), ხომ არ იქნება მიზანშეწონილი განვუსაზღვროთ ამ ქვეყნებს კრედიტები მათ ნორმალურ სარაებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი მინიმუმით. ხომ არ იქნება აგრეთვე მართებული—შემოვიღოთ ამ ქვეყნებში ზოგიერთი ისეთი საგნის შეტანის დაკონტინგენტება, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო წარმოებისათვის, რისთვისაც საფუძვლად ავიღოთ საშუალო სტატისტიკური ცნობები ამ ქვეყნების იმპორტზე უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში. პოტიომკინმა წამოაყენა აგრეთვე კითხვა: როგორია ლიგის წევრ იმ სახელმწიფოთა იურიდიული მდგომარეობა, რომლებიც უარს აცხადებენ შეასრულონ თავისი ვალდებულებანი ლიგის წესდების 16 მუხლის მიხედვით. აუცილებელია—ეს საკითხი ავტორიტეტულმა ექსპერტებმა შეისწავლონ. რაც შეეხება იმ ქვეყნებს, რომლებსაც ეკონომიურ სანქციებთან დაკავშირებით ზარალი მოსდით, საჭიროა დაისვას მსხვერპლის თანაბარი განაწილების საკითხი, თუნდაც იმ გზით, რომ ამ ქვეყნებს გაუღოთ ახალი გამსაღებელი ბაზრები და სხვ. (ადს).

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის ცნობა

პარიზი, 13 ოქტომბერი. მეორე ინტერნაციონალის აღმასკომმა, რომელიც ამ დღეებში ბრიუსელში მიმდინარეობს, გამოაქვეყნა ცნობა, სადაც სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი:

„რაც შეეხება კომინტერნის წინადადებას მის მიერ გამოყოფილ 4 დელეგატთან შეხვედრის შესახებ, ინგლისის, ჰოლანდიის, შვეციის, დანიისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ ვერ დაადასტურებენ ამ წინადადების მიღებას: ჯერ ერთი კომინტერნის დელეგაციის შემადგენლობის გამო, მეორეც იმიტომ, რომ ჩვენ უარვყოფთ მოქმედების ყოველგვარ ერთიანობას ჩვენი ქვეყნების კომპარტიებთან და ორივე ინტერნაციონალის ყოველგვარ ერთიან მოქმედებასო. მეორე ინტერნაციონალის აღმასკომი იძულებულია ანგარიში გაუწიოს მუშათა კლასის ამ დიდი პარტიების აზრს და არ შეუძლია მიიღოს კომინტერნის მიწვევა. მეორე ინტერნაციონალის აღმასკომს განზრახვა აქვს, ყოველი ღონე იღონოს, რათა შეთანხმებულ იქნას მოქმედებანი ომისა და ფაშისტური ომების წამომწყებთა წინააღმდეგ. ამიტომ, თავისთავად გასაგებია, რომ აღმასკომის თავმჯდომარესა და მდივანს აქვთ უფლება თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს თუ სასარგებლოდ ცნეს, გამართონ საინფორმაციო სხდომები მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლი სხვა ორგანიზაციების მოღვაწეთა და წარმომადგენლებთან ერთად". (ადს).

ლავალის განცხადება ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტთან

პარიზი, 13 ოქტომბერი. ლავალმა კლერმონ - ფერანში ჰავასის სააგენტოს წარმომადგენელს გააცნო საფრანგეთის პოზიცია იტალია-აბისინიის კონფლიქტის საკითხში.

„მე მსურს დავამშვიდო საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი, — განაცხადა ლავალმა. უეჭველია. მდგომარეობა რთულია, მაგრამ საფრანგეთისა და ინგლისის თანამშრომლობა, დადასტურებული ჟენევაში მიღწეული დიდის გულითადობით, კვლავ ხორციელდება მშვიდობიანობის საკეთილოდ. ჩვენ, მე და იდენი ერთი ზრუნვითა და ერთი სურვილით ვართ შეპყრობილნი — გამოვნახოთ პაქტის პრინციპების თანახმად კონფლიქტის მშვიდობიანი დაბოლოების გზა. საქმის წარმატებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საფრანგეთისა და ინგლისის გაძლიერებული მეგობრობა. ჩემი მძიმე, მაგრამ კეთილშობილი ამოცანის გადასაწყვეტად, ყველა ფრანგისგან მოვითხოვ, რათა მათ შეიგნონ ეს. საკმარისია ეს შეიგნონ, რათა სიმშვიდე და გონიერება შეინარჩუნონ. (ადს).

ვიბრძვით ჩაის უხვი მოსავლისათვის

საუბარი საქ. კ.პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივან ამხ. ზრ. ჟღენტთან

— საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების მხრივ—განაცხადა ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში ამხ. ჟღენტმა—ლანჩხუთის რაიონს უჭირავს მესამე ადგილი. წელს ეს რაიონი კრეფს 1,410.000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს. ამჟამად კრეფის წლიური გეგმის შესრულება დასასრულს უახლოვდება—დღემდე მოკრეფილია გეგმის 99,1 პროცენტი. ხოლო უახლოეს დღეებში გეგმა მთლიანად შესრულდება.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩაის პლანტაციების დამუშავებას და მოვლა-პატრონობას.

ჩვენ რაიონში ჩაის კრეფის საქმის მოწინავე მთელი რიგი კოლმეურნეობები, რომლებმაც ფოთლის კრეფის გეგმა ადრე, ხარისხობრივად და უდანაკარგოდ შეასრულეს.

ავიღოთ მაგალითად ქვედა აკეთის ამხ. ლ. კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ე. მორჩილაძე, პარტორგანიზატორი — ვ. ქურიძე), რომელმაც ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა პირველი სექტემბრისათვის 104 პროცენტით შეასრულა, მოკრიფა გეგმის ზევით 15.000 კილოგრამი და ოქტომბერში აიღო ვალდებულება მოეკრიფა 3.500 კილოგრამი, აქედან დღემდე უკვე მოკრეფილია 2.750 კილოგრამი.

ს. ხაჯალიის კოლმეურნეობამაც გეგმა შეასრულა პირველი სექტემბრისათვის და აიღეს ახალი ვალდებულება.

ვ. წ...ლოსანი. პარტორგანიზ.—ა. ჩხაიძე) 2 სექტემბრისათვის მოკრეფილი იყო ნაცვლად 230.000 კ. გრამისა (წლ. გეგმა) 250.000 კილოგრამი.

ასევე ვადამდე ადრე შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმები ნიგოითის, ზემოაკეთის, ტბანათის, ხიდმაღალის და ლესის კოლმეურნეობებმა.

აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთის ა.ლ.კ.კ. კომკავშირის ორგანიზაციამ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის საქმეში ვერ გვიჩვენა სათანადო ოპერატიული მუშაობა. მაისის თვეში კომკავშირმა აიღო ვალდებულება წელს მოეკრიფა 210.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, მაგრამ დღემდე ეს ვალდებულება დარჩა მხოლოდ ვალდებულებად.

აცანის ჩაის ფაბრიკის ძველმა ხელმძღვანელობამ მავნებლობა გამოიჩინა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის საქმეში, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან კოლმეურნეობებს აკრეფინა ნაცვლად სამი ფოთლისა ორ-ორი ფოთოლი, რამაც გავლენა იქონია გეგმის ვადამდე შესრულებაზე, რის გამო დაიკარგა 30000 კილოგრამი.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის რაიკომმა მიიღო სათანადო ზომები და გააჯანსაღა მუშაობა.

წლის ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში ძალზე განმტკიცდა შრომის დისციპლინა, რაც აიხსნება შრომა-დღეების განმტკიცებით. მაგ. ს. ლესაჭინათის კოლმეურნეობაში შრომადღეზე წელს მარტო ფულად მოდის 10 მანეთი ნაცვლად გასული წლის 55 კაპეიკისა.

მამათის კოლმეურნეები თითო შრომა-დღეზე წლის 12 მანეთს მიიღებენ, გარდა ხორბლეულისა.

რაიონის პარტორგანიზაცია ენერგიულად იბრძვის ჩაის საშემოდგომო საზამთრო სამუშაოების დროულად შესრულებისათვის.

წლის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მსუბუქი გასხვლის ნაცვლად ჩატარდება მძიმე გასხვლა, რაც საგრძნობლად გაზრდის მოსავლიანობას, რისთვისაც რაიონის აგროსპეციალისტებმა უკვე შეარჩიეს პლანტაციები, სადაც უნდა ჩატარდეს მძიმე გასხვლა.

ლანჩხუთის რაიონში წელს ჩაის პლანტაციებში მინერალურ სასუქს შეიტანენ ბუჩქისადმი დიფერენცირებული მიდგომით.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კომიტეტის მაისის პლენუმის და ამხ. ლ. ბერიას მითითებათა მიხედვით რაიონის პარტორგანიზაცია იბრძვის ჩაის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის.



კურსკის ოლქის ჩერნიანსკის რაიპარტორგანიზაციაში პარტდოკუმენტების შემოწმების აქტის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

აღინიშნოს, რომ კურსკის საოლქო კომიტეტი ფორმალურ - ბიუროკრატიულად მიუდგა პარტდოკუმენტების შემოწმების იმ აქტის დამტკიცებას, რომელიც მას პარტიის ჩერნიანსკის რაიკომმა წარუდგინა, და ამის გამო გამოიპარა პარტდოკუმენტების შემოწმების მსვლელობაში ჩერნიანსკის რაიკომის მიერ დაშვებული უხეში შეცდომები.

მები გამოთვლილ და იგი ხელახლა გატარდეს.

აქტი ჩერნიანსკის რაიონულ პარტორგანიზაციაზე, როგორც სრულიად არადამაკმაყოფილებელი, დაუბრუნდეს კურსკის საოლქო კომიტეტს.

2. მოიხსნას სამუშაოდან და გაირიცხოს პარტიიდან საქ. კ. პ. (ბ) ჩერნიანსკის რაიკომის მდივანი ...

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. ჩერნიანსკის პარტორგანიზაციაში პარტდოკუმენტების შემოწ- ... შემოწმებაზე, და კურსკის საოლქო კომიტეტის მიზეზით, რომელმაც თავის დროზე არ გამოასწორა ჩერნიანსკის რაიკომის შეცდომები.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტი

ახალი სასოფლო უნივერმაღები

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. სახკომსაბჭოს და პარტიის ც. კ-ის გადაწყვეტილების მიხედვით, „ცენტროსოიუზმა" შეიმუშავა 5 ათასი ახალი სასოფლო უნივერმაღის გახსნის გეგმა, მათში 1300 მეოთხე კვარტალში გაიხსნება. სასოფლო მაღაზიების გასახსნელად და მოსაწყობად სამომხმარებლო კოოპერაციის საოლქო კავშირებს წლის დამლევამდე 8 მილიონი მანეთი ეძლევათ.

სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა ყველა დუქანში უნდა იყოს მარილისა და ასანთის მუდმივი შეუმცირებელი მარაგი, შაქრის, საკონდიტრო საქონლის, პაპიროსის, წეკოს, საპაპიროსე ქაღალდისა და საპნის 15 დღის მარაგი. თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს დუქნის საქონლის მუდმივი ასორტიმენტი. (ადს).

ტრამვაის მექანიკურ სახელოსნოს ფრიადოსნები (მარცხნიდან): ამხ. მაცინევი (ა.ლ.კ.კ. წევრი, ხარატი), ალუუნიკოვი (ზეინკალი, საკ. კ. პ. (ბ) წევრი), დავითაშვილი (ზეინკალი, ა.ლ.კ.კ. წევრი) და აზატოვი (ხარატი, საკ. კ.პ. (ბ) წევრი).

ერთი პირველთაგანი

609.000 ცენტნერი მთელს სეზონში, ხოლო დღეღამეში — 7000 ცენტნერი — შაქრის ჭარხლის გადამუშავება — ასეთი გეგმა აქვს წელს მიცემული აგარის ამხ. ბერიას სახ. შაქრის ქარხანას.

ქარხანამ 23 სექტემბერს დაიწყო მუშაობა (ვადაზე ორი დღით ადრე). ახლა იქ 3 ცვლად 450-მდე კაცი მუშაობს. ყოველ ცვლას თავისი გარ- ...

... დისციპლინის დაცემა, შრომის მოუწესრიგებლობა — აი, უმთავრესად მეორე ცვლის სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზი.

ბელადის ისტორიულმა ლოზუნგმა „კადრები სწყვეტენ ყველაფერსო" — პრაქტიკული გამოხმაურება ჰპოვა აგარის შაქრის ქარხანაშიც. ამან საშუალება მისცა ქარხნის სამკუთხედს გამოეყვანა წარმოება გა- ...

ამ ახალგაზრდა ენტუზიასტს გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის დროს არც ერთ წუთს არ ავიწყდება ხარისხი. — სწორედ ესაა მისი ღირსება.

ქორქოლაძე წარმოებაში მტკიცედ იცავს ტექნოლოგიურ რეჟიმს. ჭარხლის წესიერად დაჭრა, რაც ხელს უწყობს სწრაფ დიფუზიას, ე. ი. შაქრის გადასვლას ჟღერილიდან წყალში; დიფუზიაში ტემპერატურის ...

ამხ. ქორქოლაძე ამჟამად ამუშავებს საქართველოში შაქრის მეორე ქარხნის აგების პროექტს. პროექტის დამუშავება შევა მის სადიპლომო შრომაში.

ვ. მთვრალაშვილი.
თ. კუნჭულია

„ტყიბული უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგებში"

(„კომუნისტი"-ს სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ტყიბულმა ქვანახშირით უნდა გაამარაგოს ამიერკავკასიის ფაბრიკა - ქარხნები — ასეთი ამოცანა დგას ტყიბულის პარტიული, საბჭოური და პროფესიული ორგანიზაციების წინაშე. მაგრამ ეს ამოცანა ჯერ ვერ სრულდება. ქვანახშირის ამოღების გეგმა ისევ ჩამორჩენილია. ტყიბულმა ცხრა თვეში ჩვენს ქვეყანას 118000 ტონა ქვანახშირი დააკლო.

მაღაროთა ტრესტის ხელმძღვანელები გეგმის შეუსრულებლობის უმთავრეს მიზეზად მუშახელის ნაკლებობას, ასახელებენ, ...

... და გაიპარნენ მაღაროებიდან. ჯვარის სასოფლო საბჭოდან (თავმჯდომარე ძნელაძე) უნდა მოსულიყო მაღაროებში 15 კაცი, მაგრამ 13 მოვიდა, ხოლო აქედან მეორე დღეს 7 კაცმა თვითნებურად დასტოვა სამუშაო.

ძმუის-კისორეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გოგილაშვილი უდარდელად ეკიდება მაღაროებისათვის მუშახელის მიწოდებას. მან პირველ ოქტომბრამდე 15 კაცი უნდა მოევლინებია მაღაროებში სამუშაოდ, მაგრამ დღემდე არცერთი კაცი არ მოსულა. ...

ტყიბულმა უახლოეს ხანში უნდა დააკმაყოფილოს ყველა ის მოთხოვნილება, რომელსაც მას უყენებენ ამიერკავკასიის ფაბრიკა-ქარხნები. ტყიბული უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგებში — ასეთია ამოცანა, რომლის ბრწყინვალედ შესრულებისათვის შეუპოვრად უნდა იბრძოლონ ტყიბულელებმა.

მ. ბრეგვაძე
კ. გოგიავა

ალ. ფანჩულიძე

ჩხარის რაიაღმასკომის თავმჯდომარე

ჩხარი წინათ და ახლა

ჩვენ დიად სოციალისტურ სამშობლოში დავიწყებული არ არის არც ერთი განაპირა, შორეული კუთხე, ყველგან ყველაფერი სახეს იცვლის, ყველგან გაცხოველებულია მუშაობა მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურული ზრდისათვის.

ერთერთ უმეტესად ჩამორჩენილ რაიონს ჩხარის რაიონი წარმოადგენდა ...

რაც შეადგენდა გლეხურ მეურნეობათა მხოლოდ 14,4 პროც. 1935 წლის პირველ აგვისტოსათვის იყო 33 კოლმეურნეობა 3130 კომლით — 32,2 პროც. კოლმეურნეობებისაკენ მშრომელი გლეხობის ლტოლვა განსაკუთრებით გაძლიერდა მიმდინარე წელს და იგი დღითიდღე იზრდება. ...

... რუნველსაყოფად ნამყენებით კოლმეურნეობებში გაშენებულია ამერიკული ვაზის სადედე 7 ჰექტარზე და მოწყობილია სანერგე 150.000 ც. რაოდენობით, რაც გეგმის 200 პროც. შეადგენს.

აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების შედეგათ იზრდება ვენახების მოსავლიანობა: თუ, მაგ., 1932 წ. ვენახების საშუალო მოსავალი რაიონში ერთ ჰექტარზე უდრიდა 30 ცენტ. 1934 წელს უკვე უდრიდა — 36 ცენტ. 1935 წელს მოსალოდნელია 38 ცენტნერი.

... ბა, რომელიც მხოლოდ 1935 წლის თებერვლიდან ამუშავდა. მიუხედავად მცირე ხნისა, იგი აერთიანებს კონიაკის ქარხანას, სარტის სარეკტიფიკაციო საამქროს, ლიმონათის ქარხანას ჩაის გადამამუშავებელ ფაბრიკას, ავეჯის ქარხანას, კირის საწარმოებს, წისქვილებს, სახერხ ქარხანას და სხვა.

გარდა ამისა მოკლე ხანში დაიწყება გუმბრინისა და ბარიტის წარმოების წინასწარი სამუშაოები.

... განათლების თავისავე სოფელში, თავისავე რაიონში მიიღებდნენ? რამდენი ახალგაზრდა უჩიოდა თავის ბედს, რომ სწავლის შესაძლებლობა არ ჰქონდა! რამდენ ნიჭიერ ახალგაზრდობაში ჰქვდებოდა სწავლის წყურვილი! ახლა ჩხარში წამოწყებულია საშუალო სკოლის ახლად დამთავრებული ორსართულიანი შენობა სამი კორპუსით და 42 ოთახით. ...

კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის მსოფლიო კონგრესი

საგოლოო სხდომა 1935 წლის 11 ოქტომბერს

8 საათი და 30 წუთი. პარტერი, ლოჟები და აივანი სავსეა მსოფლიოს ყველა ქვეყნის და ყველა ხალხის ახალგაზრდობით. მყისვე, როგორც კი წყდება მრავალენოვანი, მხიარული გუგუნი, საზეიმო მარშის ხმებში პარტერების გასასვლელები ივსება ათეული ტანადი ვაჟთა და ქალით, რომელთაც აცვიათ ცისფერი, წითელი და ლურჯი მაისურები.

ეს არის ჩვენი სამშობლოს ჯანსაღი ახალგაზრდობა — ფიზკულტურელები, რომ- ...

... ფრანგები იწყებენ თავიანთ საბრძოლო სიმღერას. შეუჩერებელი მისალმებით „როტ ფრონტ", „ბანზაი" მიმართავენ ვენის ბარიკადების გმირებს.

თავისი გამოსვლა ამხანაგმა შლეველმა შემდეგი სიტყვებით დაასრულა:

„გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, სსრ კავშირს და ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!"

და ხელახლა ამხანაგი სტალინის სახელის ხსენების დროს ტაშის გრიალი გა- ...

მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება ძალუძს მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს მოწინავე თეორიით.

ვ. ლენინი

ღრმად შევისწავლოთ ბოლშევიზმის ისტორია

მაღლდება კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონე

(ზუგდიდის რაიონი).

ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიაში უძვირფასესი განძის—ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენების შესწავლას ზუგდიდის პარტიულმა ორგანიზაციამ მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი. რაიკომმა შეამოწმა პარტგანათლების ქსელისათ-... [illegible]

...ცადინეობას ხშირად არ ესწრებიან. მაგ., ასეთები არიან: ამხ. ა. თოდუა, ე. თოდუა, ს. თოდუა და ი. ვადაჭკორია, მათ წინააღმდეგ კი ზომები არ მიუღიათ. ადგილი აქვს ავრეთვე ლექციურ მეთოდის სიჭარბეს. მაგ., კახათის პოლიტსკოლაში პრო- ... [illegible]

...ნის, ჩაის ფაბრიკის და სოფ. ოდიშის ორგანიზაციებში.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომმა ლ. ბერიას მითითებათა საფუძველზე კიდევ უფრო გააძლიერა ყურადღება კომკავშირში პოლიტგანათლების ამოცანებისადმი. პარტკომიტეტის მდივნების, კომკავშირის კომი- ... [illegible]

...ლი ბოლშევიკები პროპაგანდისტებად. ძველმა ბოლშევიკებმა ამხ. ერასტი როდონაიამ, აბრამ ფარცვანიამ, ჯავებ ჩიჩუამ, შალვა კოდუამ და სხვებმა თითონ განუცხადეს რაიკომს სურვილი პროპაგანდისტად მუშაობისა.

უკვე ჩატარებულმა 6 მეცადინეობამ გვიჩვენა პოლიტსკოლების მუშაობის მაღალი ხარისხი.

ძველმა ბოლშევიკებმა პროპაგანდისტული მუშაობის ნიმუში გვიჩვენეს. რაიკომში რომ იკითხოთ, თუ ვისი სკოლაა მოწინავე—ერასტო როდონაიასა და თოროდის სკოლებზე მიგითითებენ. ამხ. ბერიას სახ. ჩაის ფაბრიკაში ამხ. ერასტომ ისე დააინტერესა მსმენელები, რომ არც ერთი არ იგვიანებს. ვაიძახიან, „ნეტავი ყოველდღე იქნებოდეს სწავლა“. ქარხნის მუშებმა საკმაოდ არ მიიჩნიეს სწავლებისათვის რაიკომის მიერ დანიშნული სამი დღე ... [illegible]

...ტი ამხ. გულუა მოუმზადებლად დაიარებოდა მეცადინეობაზე და ხშირად ლაპარაკობდა წრეში ისეთ საკითხებზე, რომლებშიაც თითონაც ვერ ერკვეოდა.

„კოლხიდის“ პარტორგანიზაციაში კი საქმე უფრო ცუდად არის. აქ თავი ისახელეს გაცდენით და მეცადინეობის ჩაშლით. ამას გარდა, პროპაგანდისტიც სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა. იგი მოუმზადებლად დაიარებოდა წრეში, დაიწყებდა გაზეთის ხმამაღლა კითხვას და სრულიად განუმარტებლად სტოვებდა მას.

როგორც დადებითი გამოცდილება, უნდა აღვნიშნოთ პოლიტდღეების ჩატარების პრაქტიკა, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ დღეებში ნარაზენის, ინგურქალალდმშე- ... [illegible]

...კომკავშირს გადაეცა 12 გამოცდილი კომუნისტი პროპაგანდისტი. გაერთიანებულ იქნენ კ. კ. პროპაგანდისტები პროსემინარში. ამხ. ბერიას მოხსენების ორი თემის შესწავლა მოთავებულია კ. კ. თითქმის ყველა ორგანიზაციაში.

ამ წარმატებებთან ერთად არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შეთვისების ხარისხს. დიფერენცირებულად უნდა მივუდგეთ ყოველ კომუნისტს, უნდა დავეხმაროთ, რომ შეისწავლოს ეს უძვირფასესი განძი, ბოლომდე გავრცვეთოთ მუშაობა, ბოლო მოვუღოთ მსმენელთა მოწყვეტილობას, გაცდენას და უყურადღებობას, რომელსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ზოგიერთ ორგანიზაციაში.

ი. იზორია.

ცნობილია, რომ თეორია, თუ იგი ნამდვილი თეორიაა, აძლევს პრაქტიკოსებს ორიენტირების ძალას, პერსპექტივის სიცხადეს, რწმენას მუშაობაში, რწმენას ჩვენი საქმის გამარჯვებაში.

ი. სტალინი

პოლიტდღე პარტიის ისტორიის საკითხებზე

(ბათომი, ჩვენი საქ. კორესპონდენტისაგან).

სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლები შემოდგომა-ზამთრის პროგრამების დამთავრების შემდეგ შეუდგნენ ამხ. ლ. ბერიას მოხსენების შესწავლას. მეურნეობის მცოდნე პროპაგანდისტები, მსმენელები მომარაგეს ძირითადი სახელმძღვანელოებით და ... [illegible]

...სნა-განმარტებით მუშაობა და შეკრებული შეკითხვები.

— როდის ჩამოვიდა ამხ. სტალინი ბათომში და როგორ ხელმძღვანელობდა ის მუშათა მასობრივ გამოსვლებს.

— რას ისახავდა საბოლოო მიზნად ქართველ ნაციონალ-უკლონისტთა ჯგუფი.

... [illegible]

...ლიტდღე ამხ. ლ. ბერიას მოხსენების პირველი და მეორე ნაწილის საკითხებზე. პოლიტდღისათვის მზადების პერიოდში გამოვიდა კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, მოეწყო დამხმარე ლიტერატურის გამოფენა, ჩატარდა მასობრივი ახ- ... [illegible]

...დამსწრეებმა მოითხოვეს პოლიტდღეების უფრო ხშირად მოწყობა. საჭიროდ იქნა ცნობილი უახლოეს დღეებში პოლიტდღის ჩატარება ამხ. ლ. ბერიას მოხსენების მესამე და მეოთხე განყოფილების საკითხებზე.

ტ. აცანელი.

ორი პოლიტსკოლის მაგალითი

(გურჯაანი, საქ. კორესპონდენტისაგან).

ანტონა მათიაშვილი დიდი ხანი არ არის, რაც გურჯაანის „ოქტომბრის რევოლუციის“ სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზატორად აირჩიეს. მან არჩევისთანავე სერიოზულად მოჰკიდა ხელი პარტ- ... [illegible]

...ილიკო ხატიაშვილი და ნიკო გოგილაშვილი, რომლებიც მეცადინეობაზე დაუსწრებლობას სხვადასხვა „ობიექტური“ მიზეზებით ხსნიან. პარტიულმა ორგანიზაციამ მიიღო ღონისძიებანი აღნიშნული ამხანაგების მიმართ.

... [illegible]

ა. ბეციაშვილი

დეფექტები, რომლებიც უნდა გამოსწორდეს

(თიანეთის რაიონი)

თიანეთის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში გულმოდგინედ სწავლობენ ამხ. ლ. ბერიას მოხსენებას „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. თვითეული კომუნისტის მონდომებამ და პროპაგანდისტების სერიოზულმა მუშაობამ ... [illegible]

...პოლიტმეცადინეობაზე დასწრება ზოგ ორგანიზაციაში ვერ არის როგორც საჭიროა. მაგ. კავკასიის სახ. მაღაროში პროპაგანდისტის უხეირო მუშაობის გამო პოლიტმეცადინეობას ესწრება,—მსმენელთა 82 პროცენტი. ... [illegible]

...ჩნდა, რომ თვით პროპაგანდისტი ვერ ერკვეოდა ზოგ საკითხში. შეკითხვაზე, თუ ვინ იყვნენ ამიერკავკასიაში პირველი მარქსისტული თეორიის შემომტანნი, პროპაგანდისტმა პ. ბიწაძემ სწორად ვერ გვიპასუხა.

...სწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ამ ისტორიული განძის საფუძვლიანად შესწავლა ყოველი კომუნისტის გადაუდებელი ამოცანაა.

ვ. მუმლაძე
ს. ლაშხი

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ბიბლიოთეკა ყოველთვის სავსეა მკითხველებით; აქ 35 ათასი წიგნია, მათში 9 ათასი—პარტლიტერატურაა. აქ არის ყველა გაზეთების კომპლექტები, ბიბლიოთეკაში ყოველდღე საშუალოდ 300 კაცი დაირება. აქვე იმართება ტრანსლაცია რადიოთი—ახალი წიგნების სარეკომენდაციოდ და სხვ.

სურათზე: მუშები ბიბლიოთეკაში გამოსასვლელ დღეს.

ბ. ადამაძე

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი.

საფუძვლიანად ვსწავლობთ ამხ. ბერიას მოხსენებას

ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენება ტფილისის პარტაქტივის კრებაზე „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტს, რომელიც ფაქტებისა და მოვლენების უმდიდრეს ცოდნას გვაძლევს. „იგი დაწვრილებით გვაცნობს ლენინ-სტალინის პარტიის პირობებსა და საშუალებებს, ტაქტიკასა და სტრატეგიას“ („პრავდა“).

...ლად პარტორგანიზაციების მდივნებს და პროპაგანდისტებს დავაკისრეთ.

პარტიული დოკუმენტების განმეორებითმა შემოწმებამ უდიდესი როლი ითამაშა პარტსწავლების გაღრმავების საქმეში. რაიონის პარტიულმა ხელმძღვანელობამ დეტალურად შეისწავლა — როგორ არის დაყენებული პარტიული სწავლება და ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლა, ვინ არის დაინტერესებული თა- ... [illegible]

(პრო. ამხ. მელიქაძე) და ვაკიჯვრის პარტსკოლებში (ამხ. დოლიძე) სათანადოდ ვერ მოეკიდნენ ამხ. ბერიას მოხსენების შესწავლას, დაავიწყეს შესწავლის დაწყება, მისი ხარისხი კი სულ დაივიწყეს. ... [illegible]

... [illegible]

ხრა: დაიწერე ჩემი გვარი და სახელი და გადასახლებაში რომ ვიქნებით, წერილი მომწერე და მეც მოგწერ. თუ გავიგე შენ სად იქნება, მე მოგწერ წერილს და ყველაფერ ცნობებს მოგაწოდებო. 1904 წელს გადაგვასახლეს. შემდეგ სოსო აღარ მინახავს“.

ამხ. მარიამ ხომერიკი, ყოფილი როტშილდის ქარხნის მუშა, სოფ. შრომის (ც. მიქელაპრიელის) მცხოვრები ამბობს:

„1896 წლიდან როტშილდის ქარხანაში ვმუშაობდი. გადიოდა დრო. ქალაქის პირობებს ვეჩვეოდი, სოფელზე იმდენად აღარ ვდარდობდი. ჩვენი პირობები ქარხანაში უცვლელი რჩებოდა, ისეთივე აუტანელი ... [illegible]

...ვით“. შეკაცური იყო ამხ. სტალინის ნიჭი, მისი სწრაფი მოფიქრება და მდგომარეობის სწორად აღლოს ალება. მან შეაკავშირა და ბრძოლის გზაზე დააყენა მთელი მუშათა კლასი.

ამხ. სტალინი დაუშრეტელი ენერგიის პატრონია. ის ეწეოდა აგიტაციას, იძლეოდა მითითებებს, აძლევდა მუშებს ახსნა-განმარტებას, აწყობდა კრებებს, გაფიცვებს, გამოსვლებს და თვითონ ხელმძღვანელობდა მათ, აკეთებდა მოხსენებებს, ამზადებდა აგიტატორებს, ვვაწვრთნიდა ბრძოლისათვის შეკავშირებას და თავგანწირვას. 1902 წლის 7 მარტს დაპატიმრებულ 32 კაცი. 8 მარტს პოლიციის უფროსის ბინას მიადგა მუშების დემონსტრაცია. სოსო ... [illegible]

... [illegible]

კრიტიკოსთა სექციის მუშაობის გარდაქმნისათვის

15 ოქტომბერს ხელოვანთა სახლში შედგა მწერალთა კავშირის კრიტიკოსთა სექციის წევრთა თათბირი, რომელმაც განიხილა ღონისძიებები სექციის მუშაობის გადასახალისებლად.

ამხ. დ. დემეტრაძის სიტყვის გარშემო გაიმართა ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

წელიწადზე მეტია მწერალთა კავშირში არსებობს კრიტიკოსთა სექცია. სექციას ქონდა სამუშაო გეგმა, არსებობდა [illegible]

კლასიკოსების მემკვიდრეობის სწორად გამოყენებისათვის უპირველესად საჭიროა მისი შემოქმედების მარქსისტულ-ლენინური გარჩევა. ჩვენ არ გვაქვს ლიტერატურის მარქსისტულ-ლენინური ისტორია. სახელმძღვანელოებში დღემდე ბატონობენ ქ. აბაშიძის, ა. ხახანაშვილის და სხვათა იდეოლოგიურად მიუღებელი „ისტორიები". ძალზე ჩამორჩენილია თეატრალური კრიტიკა, ამ მიმართულებით სულ სამი ამხანაგი მუშაობს.

[illegible]

ა.-კ. მძლეოსანთა შეჯიბრება

ა.-კ. მძლეოსნების შეჯიბრების მონაწილენი. მარცხნიდან—მარჯვნივ: გერტრუდა მაიერი, საკავშირო ფალავანი — რობერტ ლიულკო, ა.-კ. სიმაღლეზე ხტომის რეკორდსმენი ამხ. რუსანოვი, ა.-კ. რეკორდსმენი სიგრძეზე გამორბენით ხტომაში, ამხ. ანტონოვი და ღჟამბაროვი, რომელმაც ბავშვთა შორის სიმაღლეზე გამორბენით ხტომაში დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი.

შეჯიბრების მეორე დღე

13 ოქტომბერს, საღამოს შეჯიბრებას იწყებენ ბავშვები. ქალთა შორის სიგრძეზე გამორბენით ხტომაში პირველობას იღებს აზერბეიჯანის წარმომადგენელი ფომინოვა, მეორე ადგილზე გამოდის ბერძენიშვილი.

საინტერესო იყო უფროსი ასაკის ვაჟთა შეჯიბრება სიმაღლეზე გამორბენით ხტომაში. ქიქიშვილმა ხტომის მშვენიერი ტექნიკა გამოამჟღავნა. მისი შედეგია 155 სანტ. მეორე ადგილი გაიყვეს: ჭარცივაძემ, ბერელაშვილმა, კარამურზამ და კოჟევნიკოვმა, რომლებმაც დასძლიეს 150 სანტ.

იწყება პირველი გუნდების შეჯიბრება. აზერბეიჯანის წარმომადგენელი მძლეოსანი ქალები აკსიუკი და ფომინა. იპყრობენ მაყურებელთა ყურადღებას. ისინი საუცხოოდ ასრულებენ ადგილიდან სიმაღლეზე ნახტომებს და ერთმანეთს შორის იყოფენ პირველ და მეორე ადგილებს (110 სანტ.).

ქალთა შორის ბურთის ტყორცნაში პირველი ადგილი დაიჭირა ტიხოფეევამ (37 მეტრი, 38 სანტ.).

ა.-კ. ახალი რეკორდი დაამყარა ფომინამ (აზ.), რომელმაც ბირთვი 10 მეტრზე და 92 სანტ. გადაისროლა.

ქალთა შორის შეჯიბრებაში დიდ ინტერესს იწვევს 400 მეტრზე სირბილი. საქართველოს მორბენალი ქალი კარპოვა მშვენივრად გადის დისტანციას და ყოველივე კონკურენციის გარეშე პირველი მოდის ფინიშთან. მისი დროა 1.03,9 წამი. ნაჩვენები დრო აღემატება ა.-კ. რეკორდს.

ქალთა შორის 60 მეტრზე თარჯიბენში გამარჯვება ჰხვდა განიკერს (10,3 წამი), მეორე ადგილზე გამოვიდა აკსიუკი — 10.4

ძლიერ დიდი ინტერესი გამოიწვია ვაჟთა შორის საფინალო შეჯიბრებამ 100 მეტრზე რბენაში; მძლეოსნობის ამ სახეში საუკეთესო მორბენლებს მოუყარა თავი. მონაწილენი ღელავენ, ვადაზე ადრე იღებენ სტარტს, რის გამო სტარტიორი რამდენჯერმე აბრუნებს მორბენლებს. მეოთხეჯერ მიცემული სტარტი დამაკმაყოფილებლად დაიწყო. თავიდან დაწინაურდა კირილოვი (აზ), მიღებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და დაამყარა ა.-კ. ახალი რეკორდი (11,1 წამი).

ბევრმა მონაწილემ მოიყარა თავი ბურთის ტყორცნის შეჯიბრებაში პირველობის უძლიერესი მეტოქენი არიან სერგო ამბარცუმიანი და ხამველოვი (სომხ.). მათ შორის ჩატარებული შეჯიბრება სამველოვის გამარჯვებით დასრულდა.

საინტერესოდ ჩატარდა აგრეთვე შეჯიბრება შუბის ტყორცნაში. აქაც ა.-კ. ახალი რეკორდი დაამყარა სულიევმა (51 მეტრი, 85,5 სანტ.).

პირველად ჩატარდა ა.-კ. შეჯიბრება ვაჟთა შორის 300 მეტრზე რბენაში. საკავშირო ფალავანის რობერტ ლიულკოს მონაწილეობამ შეჯიბრებას განსაკუთრებული ინტერესი მისცა. ხსენებულ დისტანციაზე საკავშირო რეკორდი ეკუთვნოდა ლენინგრადელ კოზლოვს (36,6 წამი). სირბილის დაწყებიდანვე ლიულკომ გაუსწრო სიმიონოვს და მშვენიერი სასპრინტო ნაბიჯით სწრაფად უახლოვდება საფინიშო ზოლს. უკანასკნელ ეტაპზე ლიულკო უმატებს სირბილის ტემპს და პირველი მოდის ფინიშზე 35 წამში. მრავალრიცხოვანი მაყურებლები ოვაციით ხვდებიან ლიულკოს ახალ საკავშირო რეკორდს. სიმიონოვის მიერ ნაჩვენები დრო (39,8 წამი) ა.-კ. რეკორდად ჩაითვალა.

შეჯიბრების მეორე დღის ყურადღების ცენტრშია ვაჟთა დიდი შვედური ამანათრბენი 800×400×200×100 მეტრზე. ამანათრბენში მონაწილეობა მიიღეს ა.-კ. სამივე რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდებმა. თავიდანვე დაწინაურდა კრაინიუკოვი, რომელმაც დიდი უპირატესობა მიანიჭა აზერბეიჯანის გუნდს; ამის შემდეგ მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა და შეჯიბრებაც ა.-კ. ახალი რეკორდით დასრულდა (3:30,1 წ.). ფინიშთან მეორე მოვიდა საქართველოს გუნდი. მის მიერ ნაჩვენები დროც (3:33,2 წ.) ა.-კ. არსებულ რეკორდზე უკეთესი აღმოჩნდა.

სომხეთის მძლეოსანი ქალი მურზა ბურთის ტყორცნის მომენტში.

მესამე დღე

14 ოქტომბერს დილით შეჯიბრება მთელი რიგი ა.-კ. ახალი რეკორდებით დასრულდა. ბავშვთა შორის ბადროს ტყორცნაში ა.-კ. რეკორდი დაამყარა თენგიზ ბაქრაძემ (28 მეტრი 42,5 სანტ.).

დიდი ინტერესი გამოიწვია ქალთა შორის 200 მეტრზე სირბილში საფინალო გადარბენამ. საქართველოს მძლეოსანმა ქალმა გოკიელმა მშვენივრად გაიარა დისტანცია და დაამყარა ა.-კ. ახალი რეკორდი (27,8 წამი). საინტერესო იყო ვაჟთა შეჯიბრება თარჯრბენში. სირბილში ერთნაირი დრო უჩვენეს დიაჩკოვმა, შტემპელმა და შეპელევმა. ამავე დისტანციაზე ვაჟთა შეჯიბრებამ გამარჯვება მოუტანა პარანოვსა და კრილოვს.

თ. ფურცელაძე.

მზადება ახალი სასკოლო მშენებლობისათვის

ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილება შეუდგა მომავალი, 1936 წლისათვის ახალი სასკოლო მშენებლობის საკითხის დამუშავებას. გადაწყვეტილია მომავალ წელს ქალაქში 15 ახალი სასკოლო შენობის აგება. მერმისაც სასკოლო მშენებლობა ისეთი მასშტაბით უნდა [illegible]

ჯილდოვნება

ტფილისის სახ. სომხური დრამის თეატრი ფაბრიკა-ქარხნებში

ტფილისის სახელმწიფო სომხური დრამის თეატრი, 1935—36 წლის სეზონისათვის შემუშავებული გეგმის თანახმად, უკვე შეუდგა ტფილისის მშრომელი მოსახლეობის მხატვრულ მომსახურებას ადგილებზე—ფაბრიკა-ქარხნებში. დრამის მხატვრულმა ბრიგადამ, ბრიგადის მსახიობ პაარის მეთაურობით და სახალხო არტის- [illegible]

ამიერკავკასიის ფიზკულტურის შემოქმედებითი საბჭო

შუშა, ნახშირი, გრაფიტები [illegible]

რადიო გადაცემა 15 ოქტომბრისათვის

საპიონერო სადგურის გამოფენა

ზღვის ცხოველები ტფილისის ზოოპარკისათვის

მწერალთა კავშირში

კარტოთეკა

შემთხვევები

„ტექნიკა და შრომას" 10 წელი

ზესტაფონის შხის მომუშავეები

ჩვენ გვწერენ

საკოლმეურნეო ბაზრობის წინ

საბაზრო მოედნების მომზადება

საკოლმეურნეო ბაზრობის მოსამზადებლად ტფილისში [illegible]

8 საკოლმეურნეო უნივერსიტეტი

საქ. საბჭოთა ორგანიზაციების ცენტრალური ბიუროს ინიციატივით, წელს რესპუბლიკაში იწყობა რვა საკოლმეურნეო [illegible]

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

რუსთაველის თეატრი 1935—36 წწ. სეზონი.

მდინარის იქით

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში

იყიდება მოტოციკლეტი